ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 12-46

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-60 დადგენილებაში (ვებგვერდი, 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი 010260050.35.101.016074) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „თ¹" ქვეპუნქტი:

„თ¹) თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანგარიშების მიღების თაობაზე გამოცემულ

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე თბილისის მერიაში შემოსული საჩივრების განხილვა;".

2. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მერი."

3. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „ა[1]" ქვეპუნქტი:

„ა[1]) თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანგარიშების მიღების თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე თბილისის მერიაში შესული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა (ზეპირი მოსმენების გამართვა) სამსახურის უფროსის დავალების საფუძველზე, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;".

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტის მიღება განპირობებულია „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების მიღებით, რომლის საფუძველზეც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შორის გაფორმდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოთა (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღების, ასევე, წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის N19-60 დადგენილების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ ადმინისტრაციულ საჩივრებს განიხილავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური, როგორც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით დელეგირებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, აუცილებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანგარიშების მიღების თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე თბილისის მერიაში შემოსული საჩივრების განხილველს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოდ განისაზღროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური.

ასევე, სამსახურის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების უფრო ეფექტურად და დროულად განხორციელების მიზნით იზრდება სამსახურის უფროსის მოადგილეების რაოდენობა და ემატება ერთი მოადგილე, ცვლილების შედეგად უქმდება თანაშემწის შტატი. აღნიშნული ცვლილება შესაძლებელს გახდის, მოხდეს ფუნქციების თანაბარი გადანაწილება და მმართველობითი მექანიზმის გაუმჯობესება. ცვლილების შედეგად ჯამური საშტატო რიცხოვნობა არ იცვლება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები): ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.